



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მინისტრი



KA100162295916315

თბილისი

05 / მარტი / 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/233

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N183 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების თანდართული დებულებები.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 10 ივნისის N01/341 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედება ვრცელდება 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ლევან ყიფიანი